საქართველოს კანონი

ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის სფეროში.

2. ერუშეთის ეროვნული პარკის მიკუთვნებული ტერიტორიისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიული ძეგლების განკარგვასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნა;

ბ) უზრუნველყოს ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) შექმნა.

გ) მოაწესრიგოს ერუშეთის ეროვნული პარკისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) მართვის მექანიზმები;

2. კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნებრივი ან სახეცვლილი ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრულ გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოს ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით საქართველოს „წითელ ნუსხაში“ და „გლობალურ წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) უზრუნველყოს ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მექანიზმების ჩამოყალიბება;

დ) უზრუნველყოს ერუშეთის ეროვნული პარკს მიკუთვნებული მიწის, წყლის, ცხოველთა სამყაროსა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენება;

ე) უზრუნველყოს ერუშეთის ეროვნულ პარკში განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ბუნებრივი და ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა, აღდგენა მონიტორინგის განხორციელება;

ვ) უზრუნველყოს უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად გადაგვარებისა და განადგურებისგან დაცვა;

ზ) ხელი შეუწყოს ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნებასა და განვითარებას ერუშეთის ეროვნული პარკის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე (დამხმარე ზონა).

მუხლი 3. ერუშეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიები

1. ერუშეთის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება ემყარება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ საფუძვლებს და მოიცავს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს:

ა) ერუშეთის ეროვნული პარკი - იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი გარემოსდაცვითი და ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი ტერიტორიების, აგრეთვე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნებისათვის, რეკრეაციულ-ტურისტული საქმიანობისა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის, ეკო-დერეფნების განვითარებისათვის, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისათვის. ერუშეთის ეროვნული პარკი საქართველოს დაცული ტერიტორიების ნაწილია;

ბ) ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) - იქმნება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორიის გამოყენებით და გამიზნულია ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ბალანსირებული საქმიანობის ხელშემწყობი და ადგილობრივი ფინანსური სახსრების გენერირების ღონისძიებების განსახორციელებლად.

2. ამ კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების კატეგორიების ზონირება და ზონებში დაშვებული საქმიანობა, დგინდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შესაბამისი დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით.

მუხლი 4. ერუშეთის ეროვნული პარკის მდებარეობა და ფართობი

1. ერუშეთის ეროვნული პარკი იქმნება ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს - **11680,5** ჰექტარს;
2. ერუშეთის ეროვნული პარკი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	318946	4602989	114	336353	4598362	227	335315	4595868	340	328351	4595211
2	319165	4602806	115	336361	4598349	228	335291	4595919	341	328346	4595353
3	319662	4602521	116	336367	4598333	229	335248	4595925	342	328474	4595395
4	319684	4602063	117	336363	4598323	230	335250	4595983	343	328586	4595270
5	319813	4602037	118	336364	4598312	231	335226	4596004	344	328605	4595368
6	319910	4602091	119	336359	4598304	232	335225	4596042	345	328560	4595410
7	319992	4602033	120	336374	4598283	233	335163	4596038	346	328573	4595457
8	320079	4601948	121	336383	4598292	234	335116	4596009	347	328634	4595537
9	320085	4601908	122	336395	4598289	235	335119	4596063	348	328704	4595597
10	320151	4601865	123	336398	4598283	236	335061	4596017	349	328779	4595546
11	320233	4601778	124	336391	4598273	237	335029	4596049	350	328794	4595497
12	320349	4601657	125	336394	4598266	238	334910	4595979	351	328767	4595426
13	320367	4601432	126	336404	4598267	239	334875	4595921	352	328649	4595427
14	321309	4600626	127	336403	4598259	240	334812	4595939	353	328639	4595393
15	321955	4600199	128	336389	4598259	241	334820	4595865	354	328721	4595315
16	322309	4599955	129	336395	4598245	242	334866	4595822	355	328778	4595184
17	322591	4599925	130	336390	4598239	243	334813	4595796	356	328934	4595387
18	323274	4600106	131	336379	4598241	244	334696	4595651	357	329043	4595450
19	323556	4600353	132	336382	4598257	245	334609	4595637	358	329068	4595295
20	323899	4600559	133	336369	4598229	246	334683	4595425	359	328929	4595157
21	324367	4600771	134	336374	4598228	247	334638	4595380	360	328870	4595048
22	324637	4600476	135	336383	4598225	248	334478	4595420	361	328706	4595000
23	324586	4600379	136	336392	4598232	249	334496	4595367	362	327673	4595043
24	324549	4600380	137	336398	4598227	250	334447	4595245	363	327527	4596164
25	324475	4600478	138	336410	4598225	251	334463	4595157	364	327886	4596356
26	324396	4600314	139	336418	4598219	252	334347	4595204	365	328224	4595641
27	324624	4600200	140	336408	4598216	253	334325	4595208	366	328215	4595559
28	324701	4599923	141	336400	4598219	254	334314	4595203	367	328519	4595775
29	324629	4599796	142	336397	4598210	255	334298	4595207	368	328733	4596380
30	324973	4599431	143	336390	4598206	256	334283	4595200	369	328875	4596416
31	325401	4599406	144	336375	4598195	257	334259	4595256	370	328949	4596480
32	325986	4599409	145	336366	4598181	258	334181	4595240	371	328921	4596351
33	327070	4598245	146	336371	4598184	259	334152	4595164	372	329058	4596187
34	327759	4598044	147	336379	4598184	260	334159	4594859	373	329113	4596074
35	327999	4597794	148	336385	4598187	261	334160	4594812	374	328924	4595970
36	328661	4597784	149	336415	4598206	262	334114	4594824	375	328984	4595926
37	328608	4598017	150	336422	4598191	263	334135	4594582	376	329208	4595903
38	328656	4598314	151	336412	4598176	264	334123	4594396	377	329345	4596089
39	329031	4598393	152	336421	4598182	265	334180	4594400	378	329474	4596165
40	329296	4598991	153	336426	4598169	266	334264	4594255	379	329655	4595961

41	330201	4598374	154	336417	4598159	267	334247	4594029	380	329854	4595858
42	331851	4598298	155	336409	4598152	268	334205	4593795	381	329926	4595677
43	332783	4597799	156	336409	4598107	269	334138	4593822	382	329801	4595650
44	332941	4597727	157	336424	4598089	270	334126	4593835	383	329693	4595462
45	333137	4597519	158	336403	4597964	271	334045	4593801	384	329657	4595440
46	332533	4597240	159	336419	4597925	272	333854	4593814	385	329644	4595408
47	332750	4597143	160	336420	4597851	273	333834	4593833	386	329723	4595395
48	332786	4597022	161	336496	4597846	274	333829	4593881	387	329658	4595334
49	332980	4597076	162	336707	4597906	275	333765	4593952	388	329450	4595340
50	333018	4597029	163	336863	4597836	276	333736	4593926	389	329360	4595280
51	333222	4597152	164	336979	4597714	277	333732	4593880	390	329178	4595359
52	333433	4597216	165	337451	4596861	278	333682	4593815	391	329110	4595295
53	333834	4597265	166	337364	4596839	279	333691	4593768	392	329120	4595246
54	334185	4597546	167	337371	4596623	280	333671	4593736	393	329180	4595261
55	334309	4597778	168	337442	4596259	281	333620	4593712	394	329192	4595193
56	334371	4597889	169	337426	4596172	282	333533	4593715	395	329293	4595166
57	334430	4597935	170	337387	4595870	283	333478	4593685	396	328764	4594902
58	334764	4598250	171	337337	4595859	284	333362	4593693	397	328485	4594838
59	334797	4598212	172	337320	4595672	285	333334	4593429	398	327995	4594857
60	334868	4598284	173	337273	4595540	286	333357	4593228	399	329943	4597446
61	334859	4598318	174	337380	4595409	287	333273	4593122	400	329893	4597582
62	334914	4598364	175	337387	4595347	288	333180	4593088	401	330088	4597665
63	334950	4598346	176	337419	4595309	289	333123	4593134	402	330292	4597727
64	335034	4598404	177	337373	4595139	290	333018	4592994	403	330371	4597661
65	335034	4598431	178	337280	4595136	291	332942	4592867	404	330399	4597570
66	335022	4598452	179	337247	4595109	292	332956	4592754	405	330683	4596855
67	335287	4598615	180	337159	4595115	293	333014	4592633	406	330693	4596922
68	335379	4598654	181	337137	4595013	294	332992	4592605	407	330670	4596932
69	335522	4598874	182	337037	4594918	295	332835	4592643	408	330677	4596981
70	335725	4598986	183	336968	4594931	296	332733	4592517	409	330796	4597025
71	335781	4598711	184	336889	4594817	297	332634	4592567	410	330850	4597016
72	335874	4598649	185	336728	4594798	298	332642	4592659	411	331063	4596931
73	336027	4598541	186	336859	4594438	299	332545	4592714	412	331199	4597034
74	336039	4598529	187	336748	4594036	300	332486	4592897	413	331357	4597036
75	336053	4598522	188	336630	4593708	301	332560	4593137	414	331599	4596801
76	336056	4598525	189	336295	4594248	302	332393	4593132	415	331487	4596482
77	336047	4598538	190	336159	4594198	303	332422	4593183	416	331508	4596310
78	336078	4598533	191	336061	4594487	304	332423	4593205	417	331191	4596135
79	336075	4598532	192	336103	4594552	305	332167	4593692	418	330841	4596199
80	336071	4598527	193	335963	4594853	306	331719	4594021	419	330689	4596399
81	336080	4598523	194	335959	4595060	307	331875	4593716	420	330684	4596480
82	336074	4598517	195	336026	4595072	308	332246	4593352	421	330706	4596567
83	336070	4598518	196	336097	4595155	309	331992	4593237	422	330722	4596791

84	336063	4598518	197	336171	4595270	310	331854	4593402	423	330808	4596846
85	336112	4598507	198	336293	4595498	311	331793	4593284	424	317338	4598949
86	336144	4598491	199	336254	4595574	312	331760	4593345	425	317951	4599308
87	336163	4598476	200	336304	4595575	313	331663	4593490	426	318222	4599250
88	336180	4598469	201	336398	4595734	314	331633	4593483	427	318399	4599347
89	336188	4598455	202	336559	4595955	315	331303	4592996	428	318475	4599223
90	336202	4598451	203	336610	4596018	316	331325	4592871	429	318513	4599232
91	336197	4598465	204	336755	4596134	317	331241	4592818	430	318610	4599159
92	336202	4598473	205	336743	4596207	318	331143	4592645	431	318855	4598915
93	336221	4598473	206	336718	4596354	319	331186	4592471	432	318939	4598649
94	336224	4598482	207	336699	4596277	320	331133	4592445	433	318996	4598256
95	336236	4598484	208	336629	4596309	321	331056	4592509	434	318939	4598077
96	336240	4598477	209	336487	4596318	322	330954	4592302	435	318733	4597891
97	336238	4598474	210	336464	4596444	323	330826	4592209	436	318635	4597791
98	336229	4598477	211	336268	4596569	324	331312	4591363	437	318496	4597684
99	336231	4598467	212	336201	4596692	325	331543	4590676	438	318260	4597572
100	336239	4598459	213	336213	4596609	326	331840	4590158	439	317941	4597880
101	336238	4598453	214	336108	4596708	327	332047	4589865	440	317653	4598115
102	336227	4598449	215	335961	4596771	328	332396	4589532	441	317559	4598228
103	336228	4598436	216	335927	4596731	329	332609	4589217	442	317420	4598766
104	336238	4598433	217	335812	4596875	330	332944	4588738	443	318418	4601947
105	336246	4598445	218	335818	4596652	331	333203	4588381	444	318425	4601973
106	336265	4598437	219	335834	4596344	332	333855	4587707	445	318453	4601996
107	336291	4598444	220	335807	4596279	333	334655	4586831	446	318453	4602042
108	336301	4598434	221	335729	4596228	334	334694	4586246	447	318504	4602090
109	336298	4598430	222	335755	4596137	335	334243	4585761	448	318567	4602073
110	336316	4598422	223	335657	4596113	336	334044	4585237	449	318604	4602023
111	336314	4598416	224	335644	4596058	337	333321	4584907	450	318620	4601974
112	336343	4598379	225	335683	4596013	338	328439	4595002	451	318515	4601888
113	336350	4598371	226	335553	4595968	339	328471	4595118			

3. ერუშეთის ეროვნული პარკის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი N-337 წერტილიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ N-1 წერტილამდე მიუყვება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს თურქეთის რესპუბლიკასთან.

მუხლი 5. ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) მდებარეობა და დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი

1. ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) მდებარეობს ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს შემდეგ დასახლებულ პუნქტებსა და სოფლებს:

ა) ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფელ ხეოთს;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფლებს: აბათხევი, მინაძე, მესხი, პატარა პამაჯი, საძელი, ურაველი და წყალთბილა.

მუხლი 6. ერუშეთის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა

ერუშეთის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) სახელმწიფო მართვა

ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) სახელმწიფო მართვას ახორციელებს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები. საჭიროების შემთხვევაში ზონის მართვის, მოქმედებათა კოორდინაციისა და დაშვებული საქმიანობის განვითარება განისაზღვრება სპეციალური პროგრამით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

<u>მუხლი 8. ქონებრივი ურთიერთობები, მიწათსარგებლობით,</u> სასარგებლო წიაღისეულითა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები

ეს კანონი არ ვრცელდება ერუშეთის ეროვნული პარკის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევებში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით);

ბ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე;

გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით ან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს ----------

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი
„ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 1990-1991 წლებში დამუშავდა საქართველოში დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველის და გერმანელი ექსპერტები. აღნიშნული სქემის ფარგლებში უნდა დაარსებულიყო ეროვნული პარკები საქართველოს შემდეგ რეგიონებში, კერძოდ კოლხეთის დაბლობი, ცენტრალური კავკასიონი, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი, მთიანი კახეთი, ივრის ზეგანი, ბორჯომი და აჭარა-გურია-იმერეთი. დღეის მდგომარეობით დაარსებულია „კოლხეთის ეროვნული პარკი“, „ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი“, „თუშეთის ეროვნული პარკი“, „ვაშლოვანის ეროვნული პარკი“, „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“. დარჩენილია ეროვნული პარკების დაარსება ცენტრალურ კავკასიონზე და ერუშეთში.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2016-2017 წლებში გერმანიის მთავრობის (BMZ) დაფინანსებით და WWF-ის ტექნიკური ხელშეწყობით ჩატარდა დეტალური კვლევები ბიომრავალფეროვნების (ფლორა, ფაუნა, ეკოსისტემები) და სოციალურ-კულტურული ასპექტების მიმართულებით ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსების მიზნით. გაანალიზდა ერუშეთის პარკის შექმნის დადებით მხარეები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების კონტექსტში.

ერუშეთის ბიომრავალფეროვნების გამორჩეულობას უპირველესად განსაზღვრავს მისი გარდამავალი ბიოგეოგრაფიული მდებარეობა კოლხეთის ტენიან მთებს, მცირე კავკასიონის ზომიერ ცენტრალური ნაწილსა და ჯავახეთის კონტინეტურ ზეგანს შორის. შესაბამისად, ერუშეთში გავრცელებულია უნიკალური სახეობრივი შემადგენლობის მქონე ტყეები, ბუჩქნარები და ბალახეული თანასაზოგადოებები, რომელთა კომპოზიციაში ამ სამივე ბიოგეოგრაფიული ერთეული ელემენტები მონაწილეობენ; ასეთია: სამხრეთ კავკასიური ტიპის ნაძვნარები (*Picea orientalis*) და ნაძვნარ-სოჭნარები (*Abies nordmanniana*) - ერუშეთი

(ერუშეთის მასივის თურქული ნაწილის ჩათვლით) ნაძვის გავრცელების უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარია; თითქმის იგივე ითქმის სუბალპური არყნარებსა (*Betula litwinowii*) და დეკიანზე (*Rhododendron caucasicum*); ასევე, ორიგინალური სახეობრივი კომპოზიციით (სადაც ტენისა და სიმშრალის მოყვარული სახეობები გვერდიგვერდ ხარობენ) გამოირჩევიან - მუხნარების (*Quercus iberica, Q. macranthera*), წიფლნარების (*Fagus orientalis*) და ფიჭვნარების (*Pinus kochiana*) თანასაზოგადოებები.

ეროვნული პარკის მცენარეულობის მრავალფეროვნებას, ასევე, ქმნიან მაღალმთის ნაირგვარი მდელოები და მდელოსებრი სტეპები. კლდოვან ჰაბიტატებში გავრცელებულია ლოკალური ენდემური და იშვიათი სახეობები ასპინძის, ლეონიდას, მესხეთის გლერძები *(Astragalus aspindzicus, A. leonidae, A. meskheticus),* აწყურის მიხაკი *(Dianthus azkurensis),* მესხეთის ესპარცეტი *(Onobrychis meskheticus), ვარძიის ცერცველა (Vicia vardziae)*, ტიგრანის დიდგულა (*Sambucus tigranii*), - ეს უკანასკნელი გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობაა, შეტანილია საერთაშორისო/IUCN-ის წითელ ნუსხაში კატეგორიით VU - მოწყვლადი, ასევე, შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში კატეგორიით CR - კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი.

საქართველოს წითელ ნუსხის ხემცენარეებიდან, გარდა რელიქტური მაღალმთის მუხისა (*Quercus macranthera*), რომელიც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული პარკის ტერიტორიაზე, მთის ზედა სარტყლებში, აღსანიშნავია, ასევე, უხრავი (*Ostrya carpinifolia*) - უხრავის ტყის ფრაგმენტები გვხვდება ურაველის ხეობაში.

დიდი ზომის ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია: მურა თათვი (*Ursus Arctos*), ევრაზიური ფოცხვერი *(Lynx lynx*) და არჩვი (*Rupicapra rupicapra*) - საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები; ჩვეულებრივია მაჩვი (*Meles meles*), შველი (*Capreolus capreolus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*). მცირე ზომის ძუძუმწოვრებიდან ცალკე აღსანიშნავია გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი ჭრელტყავა (*Vormela peregusna*). ქვეწარმავლებიდან გამორჩეულია დარევსკის გველგესლა (*Vipera darevskii*) - სახეობა, რომელსაც უმაღლესი კატეგორია (CR - კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი) აქვს მინიჭებული IUCN-ის წითელ ნუსხაში. ფრინველებიდან გავრცელებულია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი, კავკასიური როჭო (*Lirurus mlokosiewiczi*) და კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*), ასევე, გლობალურად გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) და ბექობის არწივი (*Aquila heliaca*). თევზებიდან აღსანიშნავია საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა - ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta*).

ერუშეთის ეროვნული პარკისათვის განსაზღვრული ტერიტორია აკმაყოფილებს, როგორც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო კონვენციასთან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD - Convention on Biological Diversity; საქართველო მხარეა 1994 წლიდან), სახელდობრ - მისი ახალი სტრატეგიის (აიჩი 2020) მე-11 სტრატეგიულ მიზანთან, რომელიც მოითხოვს „2020 წლისთვის, ხმელეთისა და შიდა წყლების ფართობის,

სულ მცირე, 17% და სანაპიროსა და საზღვაო ფართობის 10%, განსაკუთრებით ის არეები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით, მოქცეული იქნას დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის თანახმად საჭიროა ტრანსსასაზღვრო კავშირების უზრუნველყოფა მეზობელი ქვეყნების დაცული ტერიტორიების სისტემებთან. ამ მხრივაც ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და თურქეთს შორის ერუშეთის მთიანეთს დაახლოებით ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს; თურქეთის მხარეს მდებარეობს ფოსოვის (ქართ. ფოცხოვის) აღკვეთილი, რომელიც შედის თურქეთის დაცული ტერიტორიების ეროვნულ სისტემაში.

ერუშეთის ეროვნული პარკი და ფოსოვის აღკვეთილი ერთმანეთს 38,9 კმ-ის მანძილზე ესაზღვრებიან. ფაქტობრივად ეს არის ერუშეთის მასივის ერთიანი ეკოსისტემა და ეს ყველაფერი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მყარ საფუძველს ქმნის. ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა კანონის პროექტი „ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ახალი დაცული ტერიტორიის - ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება. ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავებას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ტურისტულ სერვისებში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი შედგენილია “ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იგი შედგება შვიდი მუხლისგან, რომლებიც თანმიმდევრულად ასახავენ კანონპროექტის ძირითად დებულებებს.

კანონის პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო.

კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულია კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია დაცული ტერიტორიების კატეგორიები, კერძოდ: ერუშეთის ეროვნული პარკი და ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა).

კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია ერუშეთის ეროვნული პარკის ფართობი, საზღვრები და ის ტერიტორიები, რომლებიც უნდა გადაეცეს დაცულ ტერიტორიებს.

კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაში (დამხმარე ზონა) შემავალ სოფლებს, კერძოდ: ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფელ ხეოთს და ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფლებს: აბათხევი, მინაძე, მესხი, პატარა პამაჯი, საძელი, ურაველი და წყალთბილა.

კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ერუშეთის ეროვნული პარკის მართვა, კერძოდ ერუშეთის ეროვნული პარკის მართვა განხორციელდება „დაცული ტერიტორიების სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე.

კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენებისა ტერიტორიის (დამხმარე ზონა) მართვის საკითხი, კერძოდ ერუშეთის მრავალმხრივი ტერიტორიის სახელმწიფო მართვას ახორციელებს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები. საჭიროების შემთხვევაში ზონის მართვის, მოქმედებათა კოორდინაციისა და დაშვებული საქმიანობის განვითარება განისაზღვრება სპეციალური პროგრამით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

კანონის მე-8 მუხლი არეგულირებს ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობის, სასარგებლო წიაღისეულით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობამ უნდა შეადგინოს 452 000 ლარი. დამატებით დასაქმებული იქნება 16 ადგილობრივი მოსახლე: 1 დირექტორი, 1 დაცვის განყოფილების უფროსი, 1 ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი, 1 ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი, 2 უბნის უფროსი რეინჯერი და 10 რეინჯერი.

№	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	სულ წლის განმავლობაში (ლარი)
1	დირექტორი	1	1600	19200
2	დაცვის განყოფილების იფროსი	1	900	10800

3	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	1	700	8400
4	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	1	700	8400
5	უბნის უფროსი რეინჯერი	2	750	18000
6	რეინჯერი	10	700	84000
სულ				132 600

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა განაწილდება შემდეგი პროპორციით:

ერუშეთის ეროვნული პარკის ბიუჯეტი	ლარი
სულ	452 000
მ.შ. შრომის ანაზრაურება	132 600
საქონელი და მომსახურება	240 000
კაპიტალური ხარჯი	80 000

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ, რაციონალური დაგეგმვისა და მართვის პირობებში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, ასევე

ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. ამასთან, საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ექნება დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და გაფართოებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ბიუჯეტში დამატებით გამოყოფილი უნდა იქნას 452000 ლარი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის

შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

WWF კავკასიის პროგრამული ოფისი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.